საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2433
10/06/2022

2433-21-2-202206101751

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რ-ნი, პეტრიაშვილის №10
ელ. ფოსტა: lela.bachiashvili@crtg.cn

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა №1563 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წკერეში, კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წკერეს სამშენებლო ბანაკის მიმდებარედ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, მე-4 თავში მითითებულია, რომ „ტერიტორიაზე აშენდება ბეტონის ავზი, რომელშიც განთავსებული იქნება ნავთობპროდუქტებისათვის განკუთვნილი რეზერვუარი“, ხოლო მე-5 თავში აღნიშნულია, რომ „საწვავის საცავი განთავსებულია პროექტის განთავსების ზოლში“ და „პროექტის დაწყების პირველ ეტაპზე, მოხდა ტერიტორიიდან ნიადაგის ზედა ფენის მოხსნა და დასაწყობება“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების საკითხი. სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოები) გათვალისწინებით;
- დოკუმენტის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორია, წინასწარი შეფასებით, ხვდება ზვავსაშიშ ზონაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ არეალში ასევე განთავსებულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქვეშეთი-კობის №2 საცხოვრებელი ბანაკი და ბეტონის კვანძი. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტერიტორიის დასაცავად დაგეგმილია თოვლის შემაკავებელი და მიმართულების შემცვლელი დამბების სტრუქტურის მოწყობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული საინჟინრო ნაგებობების შესახებ ინფორმაცია და მათი განთავსების ადგილმდებარეობა;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნავთობპროდუქტების საცავის წლიური ბრუნვის შესახებ;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის Shp ფაილები;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სალექარში დაგროვებული ნარჩენების შემდგომი მართვის შესახებ;
- დოკუმენტში დაზუსტებული უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის და გამოყენების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან მდ. ხადისწყალი დაშორებულია 200 მეტრით, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ მდ. ხადისწყალი დაშორებულია 90 მეტრით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დოკუმენტში შეფასებული უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მდ. ხადისწყალზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;
- დოკუმენტში განხილული უნდა იყოს ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო